ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №36

13 მარტი 2015 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი
სხდომის მოწვევის შესახებ

მიმდინარე წლის 20 მარტს, დღის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.2 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

1.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ვაჩეიშვილი

1.5”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე 3215.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.086) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრერბულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიად მამალაძე

1.6 ჩოხატაურში, წერეთლის ქ.N2_ში, მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (მიწის (უძრავი ქონების), საკადასტრო კოდი - N28.01.22.082) პირველ სართულზე არსებული 42.6.კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიად მამალაძე

1.7„დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ნიკო მარის სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.8 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების 2014 წლის საქმიანობის შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*